



Sawvy
CONSULTING

კომპანიის შესახებ

ჩვენ ვსვლით

ვინ ვართ

SavvY არის თბილისში დაფუძნებული ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, რომლის მიზანია საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში მოღვაწე კომპანიების ეფექტურობის გაზრდა



რას ვაკეთებთ

ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს განვითარებაში მათი სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე

ჩვენი დევიზი **“ჩვენ ვსვლით”** გამოხატავს SavvY-ის დამოკიდებულებას არსებული გამოწვევებისადმი და ჩვენს ჩართულობას კომპანიებში არსებული მართვის სისტემების გაუმჯობესებაში

როგორ ვმუშაობთ

საქართველოს და დიდი ბრიტანეთის ბაზრებზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ SavvY იყენებს სხვადასხვა პროგრესულ და ინოვაციურ მიდგომებს. ჩვენ კარგად ვიაზრებთ იმას, რომ ყველა შემთხვევა უნიკალურია სწორედ ამიტომ ჩვენი მიდგომები მორგებულია თითოეული კლიენტის მოთხოვნებსა და რესურსებს



როგორ ვკასუხობთ გამოწვევებს

როგორ დავინყო ბიზნესი?

ბიზნეს გეგმა

ტექნიკუ-
ეკონომიკური
კვლევა

ფინანსური
მოდელირება

კვლევა

როგორ ვმართო ბიზნეს პროცესები?

IFRS დანერგვა

მატერიალური და
არამატერიალური
აქტივების შეფასება

ხარჯების
ოპტიმიზაცია

როგორ გავაფართოვო ჩემი ბიზნესი?

ბიზნესის შეფასება

Due Diligence

როგორ მოვიზიდო ფულადი სახსრები?

მოლაპარაკებები
ბანკებთან

ინვესტორების
მოძიება

ობლიგაციების
გამოშვება

აქციების
პირველადი
შეთავაზება

ბიზნეს გეგმა

ჩვენი მიდგომა არ არის სტანდარტული, SavvY-ის მიერ შესრულებული ყოველი ბიზნეს გეგმა არის უნიკალური და ერგება კლიენტის სპეციფიკურ მოთხოვნებს. SavvY-ის ბიზნესის დაგეგმვის მომსახურება მენარმეებს, ინვესტორებს და კომპანიებს სთავაზობს:

- არსებული ბიზნეს შესაძლებლობების საიმედოობის შესწავლას
- ბიზნეს კონცეფციისა და მისი განხორციელების გეგმის შემუშავებას
- საინვესტიციო გეგმის შემუშავებასა და ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტის (ROI) შეფასებას

როგორ
დავინყო
ბიზნესი?

კვლევა

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ბაზრის და მომხმარებელთა კვლევას, როგორც რაოდენობრივს, ისე თვისობრივს. SavvY-ის კვლევითი მომსახურება მოიცავს პირველად კვლევას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: გამოკითხვებს, ინტერვიუებს, ფოკუს ჯგუფებს, დაკვირვებას, მონაცემების მოდელირებას და ანალიზს. ჩვენ ასევე გთავაზობთ მეორად კვლევას, ე.წ. სამაგიდე კვლევას, რაც ერთი მხრივ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისთვის საჭირო დროის დაზოგვის საშუალებას მოგცემთ, მეორეს მხრივ კი სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. სამაგიდე კვლევა მოიცავს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, ინფორმაციის შეგროვებას, სიახლეების მოძიებას, კონკურენტების კვლევას

IFRS დანერგვა

ახალი სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიების გამჭვირვალობის გაზრდასა და ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესებაში. SavvY-ის IFRS დანერგვის მომსახურება როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილ კომპანიებს სთავაზობს:

- IFRS დიაგნოსტიკას
- IFRS დანერგვას
- მონიტორინგს და აუდიტორულ მხარდაჭერას

როგორ
ვპართო
ბიზნეს
პროცესები?

ხარჯების ოპტიმიზაცია

ჩვენ კლიენტებს ვთავაზობთ არა მხოლოდ ხარჯების შემცირების გზებს, არამედ მათი ხარჯების იმგვარ განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებულ ფუნქციონირებას. ხარჯების ოპტიმიზაციის მეთოდი გულისხმობს როგორც კომპანიის ფინანსების ისე ამ კომპანიის მიერ ღირებულებათა შექმნის სხვადასხვა გზების ანალიზს. პირველი მათგანის მიზანია ამა თუ იმ ოპერაციის დაფინანსებისას და ხარჯების განწესისას წარმოქმნილი არაეფექტურობების აღმოჩენა, ხოლო მეორე კომპონენტის მიზანია ღირებულებათა შექმნის პროცესში წარმოქმნილი უზუსტობების მოძიება.

როგორ
გავაფართო
ვო ჩემი
ბიზნესი?

ბიზნესის შეფასება

ბიზნესის შეფასების სერვისი გულისხმობს კომპანიის ეკონომიკური ღირებულების დადგენას. კაპიტალური ღირებულების დასადგენად Savvy-ის გუნდი იღენებს შეფასების სხვადასხვა მოდელებს. მათ შორისაა:

- დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი
- მულტიპლიკატორის მოდელი
- აქტივებზე დაფუძნებული მოდელი

Due Diligence

Due Diligence არის პოტენციური ინვესტიციის შეფასება ან აუდიტი მასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების ჩათვლით. Due Diligence საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სრული სურათი და ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ასპექტებზე როგორცაა სტრატეგია, ფინანსები, ადამიანური რესურსები და სამართლებრივი ვალდებულებები.

მოლაპარაკებები ბანკებთან

ჩვენ მზად ვართ შემოვუერთდეთ თქვენ გუნდს, ვიპოვოთ თქვენთვის სასურველი ფინანსური ინსტიტუტი, ვანარმოოთ მასთან მოლაპარაკება და შემოგთავაზოთ ფინანსური პროდუქტი, რომელიც სრულ თანხვედრაშია თქვენს მოთხოვნებთან. ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების წარმოების ჩვენი მიდგომა ეფუძნება ამ ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას და მათი სტიმულებისა და განწყვეტილებების მიღების პროცესების საფუძვლიან ცოდნას.

აქციების პირველადი შეთავაზება

აქციების პირველადი შეთავაზების მომსახურება განსხვავებული სპეციფიკის კომპანიებს ეხმარება იპოვონ საფონდო ბირჟებისკენ მიმავალი გზა. ჩვენ დაგეხმარებით ამ პროცესის ყველა ეტაპზე დანყებული იმის გააზრებით თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს კომპანიაში, რათა შესაბამისობაში მოდიოდეს საერთაშორისო და მარეგულირებელ სტანდარტებთან, დამთავრებული ამ ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვით

როგორ
მოვიზიდო
ფულადი
სახსრები?

ჩვენი გუნდი



მარიამ ულიაშვილი

მმართველი პარტნიორი

მარიამს აქვს 5 წლიანი გამოცდილება საკონსულტაციო მომსახურების, აუდიტის და ტრენერობის მიმართულებით, ის ასევე არის ACCA-ის წევრი. SavvY-ის დაარსებამდე მარიამი მუშაობდა უფროს აუდიტორად KPMG-ში და რისკების მენეჯერად თიბისი ბანკში, ყველაზე მსხვილ კომერციულ ბანკში საქართველოში. მარიამს აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში და არის ჰარვარდის ბიზნეს სკოლის HBX CORE პროგრამის კურსდამთავრებული



თორნიკე ჩხაიძე

პარტნიორი

თორნიკეს აქვს 5 წლიანი გამოცდილება საკონსულტაციო მომსახურების, პროექტების მართვის, სტრატეგიული განვითარების და სტარტაპების განვითარების მიმართულებით, ის არის შპს უკვეს თანადამფუძნებელი და პარტნიორი და Crowdfund.ge-ის თანადამფუძნებელი. SavvY-ის დაფუძნებამდე თორნიკე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად იკანოში, ბიზნეს კონსულტანტად შპს Direct Solutions-ში დაკონსულტანტად Umbrella Consulting-ში. მას აქვს საქართველოს უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში და ფლობს CFA-ის პირველ დონეს



ნიკა ხატიაშვილი

ასოცირებული პარტნიორი


ნიკა წარმოადგენს SavvY-ის ლონდონის ფილიალს. მას აქვს 7 წლიანი გამოცდილება კერძო საინვესტიციო ფონდებისა და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით. SavvY-ის გუნდის წევრად გახდომამდე იგი მუშაობდა უფროს ანალიტიკოსად თიბისი ბანკში, უფროს საინვესტიციო ანალიტიკოსად თანაინვესტირების ფონდში და პროექტების მენეჯერად და ფინანსურ ანალიტიკოსად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ნიკას აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში და არის ლონდონის ბიზნეს სკოლის მაგისტრატურის სტუდენტი.



ჩვენი გუნდი



ლელა კუპრაშვილი
უფროსი კონსულტანტი



ანა აკოტაშვილი
კონსულტანტი



გიორგი მესხიშვილი
კონსულტანტი



თეიმურაზ ჩუბინიძე
კონსულტანტი



თამარ ცისკარიშვილი
კონსულტანტი



ანა შალიკაშვილი
უმცროსი კონსულტანტი



თიკო სისაური
CR მენეჯერი



მაკო ბინაძე
HR მენეჯერი



ჩვენი კლიენტები

საერთაშორისო კომპანიები



ჩვენი კლიენტები

დეტალურად



2018 წლის მაისი-ივნისის განმავლობაში [შპს თ & კ რესტორნებში](#) ჩატარდა კომპანიაზე მორგებული კორპორატიული ტრენინგი ფინანსური უწყისების ანალიზისა და ფინანსური კოეფიციენტების შესახებ. ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 16 საათი და აღსანიშნავია, რომ ის სრულად იყო მორგებული სწრაფი კვების ინდუსტრიის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ტრენინგის ძირითადი საკითხები იყო შემდეგი:

- ფინანსური უწყისების ანალიზი
- კავშირები სხვადასხვა უწყისებს შორის
- მონეტარული პოლიტიკის ჩარჩო საქართველოში
- გაცვლითი კურსის რეჟიმები
- ბიუჯეტირება
- კოეფიციენტების ანალიზი და KPI



2017 წელს [PSP ფარმაში](#) Savvy-მ განახორციელა ფასის-ის სრული დიაგნოსტიკა, ფასის-ის დანერგვა და აუდიტის მხარდაჭერა. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა ძირითადი საშუალებების, მარაგებისა და შემოსავლების დანერგვა. PSP ფარმა ლიდერი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.



2018 წლის ზაფხულის განმავლობაში [თბილისი მერიოტსა და ქორთიარდ მერიოტში](#) Savvy-მ ძირითადი საშუალებების მიმართულებით დიაგნოსტიკა, დანერგვა და აუდიტის მხარდაჭერა განხორციელდა. კომპანია მოღვაწეობს ტურიზმის სფეროში, კერძოდ, განთავსებისა და კვების სექტორში. GMT ჯგუფის დამსახურებით გაიცნო საქართველომ მარიოტის სასტუმროების ბრენდი.



2018 წლის იანვარი-მაისის განმავლობაში შპს ატლანტიკ საქართველოს ჩაუტარდა ფინანსური ანგარიშგების დიაგნოსტიკა, აწყობა და ანალიზი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით შპს ატლანტიკ საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ტოპ კომპანიას უცხოური ინვესტიციების მიხედვით.

ჩვენი კლიენტები

დეტალურად



2018 წლის აგვისტო-იანვრის პერიოდში [აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის](#) SavvY-მ მოამზადა აჭარის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება. პროექტის ფარგლებში SavvY-მ შეისწავლა 4 სექტორი და თითოეული სექტორის 4 ქვესექტორი, რათა ამ ქვესექტორებში აუთვისებელი შესაძლებლობები აღმოეჩინა. ასევე, მომზადდა 1 კონკრეტული საინვესტიციო პროექტი პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზებისთვის. საინვესტიციო პროექტი ცალსახად უსვამს ხაზს ინვესტიციის განხორციელების ხელშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს, მოიცავს კონკურენტების დეტალურ ანალიზს და ფინანსურ პროგნოზს 10-წლიან პერიოდზე დეტალური დაშვებებით, ასევე, ინვესტიციის შეფასებას სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

2017 წლის მაისი-ივნისის პერიოდში შპს [„კურორტი საირმისთვის“](#) მომზადდა ბიზნეს გეგმა. ჩვენმა გუნდმა შეაფასა მასპინძლობის სექტორში არსებული ინვესტიციის მომგებიანობა საირმეში, მოამზადა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ფინანსური მოდელი.



2018 წლის 18 და 19 აპრილს, [ბრაზილიის სავაჭრო და საინვესტიციო ხელშეწყობის სააგენტოსა](#) და ბრაზილიის საელჩოს ორგანიზებით თბილისსა და ერევანს ბრაზილიის სავაჭრო მისია ესტუმრა. ვიზიტი ბრაზილიაში მოღვაწე კომპანიებისთვის საქართველოსა სომხეთში სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას ისახავდა მიზნად. პროექტის ფარგლებში SavvY-მ, ერევანში მოღვაწე პარტნიორ საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად უზრუნველყო ქართულ/სომხურ და ბრაზილიურ კომპანიებს შორის B2B შეხვედრების ორგანიზება.



2016 წელს SavvY-ს გუნდმა იმუშავა გუდაურში სასტუმროს ბიზნეს გეგმაზე, რომელიც თავისი კონცეფციით გამორჩეული იყო მთლიან ბაზარზე. სამუშაო პროცესში SavvY-ს გუნდმა შეისწავლა ბაზრის მოცულობა, გაანალიზა ყველა არსებული და პოტენციური კონკურენტი, დაადგინა ბიზნეს დაშვებები, რომლის მიხედვითაც შეადგინა ფინანსური მოდელი. აღნიშნულმა პროექტმა დაფინანსება მოიპოვა “ანარმოვ საქართველოს” პროგრამის ფარგლებში. 2019 წელს [Quadrum](#)-მა კვლავ დაიქირავა SavvY სასტუმროს გაფართოების გეგმის, ფინანსური გათვლების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის გასაკეთებლად.



Web: SavvyY.ge



Email: Info@savvy.ge



Tel: [+447846443219](tel:+447846443219)



Tel: [+0322 42 13 42](tel:+0322421342)



[ბელ იარდის 7, WC1A 2JR, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი](#)



[ნერეთლის 118, ექსპო ჯორჯია, 1 კავილიონი თბილისი, საქართველო](#)